კვირა, 26 აგვისტო 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 187

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. [illegible] გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

**დეკანოზი არსენ სოფრომის ძე და მარიამ დიმიტრის ასული თოხაძენი**
აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა უდროვოდ გარდაცვალებულის მათის შვილის

## ნაშანი

მოხდება დაბა სურამში კვირას, 26 აგვისტოს. (1—267—1)

3 ენკენისთვიდან, პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომში (ალექსანდრ. ბაღი) გაიხსნება

## უმაღლესი კურსები
## კავკასიის შესასწავლად.

ადგილობრივი მასწავლებლები და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული პროფესსორები წაიკითხავენ ლექციებს ყოველ საღამოს, 6—9 საათზე.

პროგრამმებს უფასოდ ურიგებენ კურსების კანტორაში (იმავ სახლში), ყოველ საღამოს, 5—7 საათზე.

ფასი: 1 მ. 50 კ. ნახევარ წელს, ამის გარდა 15 კ. ადგილობრივ ლექტორის ლექციაზე და 30 კ. უცხო ქალაქიდან ჩამოსულ პროფესსორის ლექციაზე. შემთხვევითი მსმენელნი ყოველ ლექციაზე იხდიან 20 კ. პირველშემთხვევაში და 40 კ. მეორეში. (6—265—2)

**უკანასკნელ ექვს დღეს,**
**27, 28, 29, 30 და 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს,**
**საოცრად იაფ ფასებით**

## პ. ს. დოროჟნოვის

მთავარ მაღაზიაში,

წლიურ ანგარიშის გათავების და მაღაზიის გადაკეთების შემდეგ,

**პირველად ხუთ წელიწადში**

მოხდება

## დიდი იაფი ვაჭრობა

დასახელებულ ექვს დღეს ყველა სპეციალურ განყოფილებაში გაიყიდება:

## აუარებელი საქონელი!!!

**50,000** დარჩენილი ნაჭერი

სამანუფაქტურო და ტილოს საქონლისა,
შალის მოდის მატერიები,
**დამზადებული საცვალი კაცისა და ქალისა**
მაუდის საქონელი,
მებელის მატერიები და ხალიჩები.

## საოცარი სიიაფე ყველაფრისა.

იაფ-ვაჭრობის დღეებში, მაღაზია ღია იქნება დილით 9—$1^1/_2$ საათამდე, ნაშუადღევს $3^1/_2$—$5^1/_2$ საათამდე. (1—269—1)

ექიმი
**მ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილი ს 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—169)

ექიმი
**მ. მაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად.

**პირ**ველ სექტემბერს ამა წლისას მე ვხსნი **სოფელ წინამძღვარიანთკარში სამეურნეო სკოლის მოსწავლეთათვის** სადგურს (პანსიონს). წლიური გადასახადი თორმეტი თუმანია, ეს ფული უნდა შემოტანილ იქმნას ორ წილად: ექვსი თუმანი პირველ სექტემბერს და ექვსი თუმანი პირველს მარტს 1908 წელსა. ყმაწვილებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ტანთსაცმელი.

(3—268—1) **გიორგი წინამძღვარიშვილი.**

**უკანასკნელი წარმოდგენა**
**თეატრი და ბაღი „ფუნიკულერი"**
კვირას, 26 აგვისტოს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

## ადვოკატი მელაძე

კომედია 2 მოქ. გად. ი. მაჩაბლისა.

**დივერტისმენტი**

წაიკითხავენ: **ი. ევდოშვილი**—უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, **ზ. ანთონ-პირელი**—ჩემი სიმღერა, **გ. მაღლანია**—საღამო ქალაქში, **ნ. მეხსიძე**—გურული სცენები, **დ. ზაქრაძე**—გლეხური სცენები.

ანტრაქტებში იმღერებს ქართული ხორო.

**წარმოდგენა არაწ გზით არ გადაიდება.**

ადგილების ფასი 30-კ.-დან ვიდრე 1 მანეთამდე და 50 კაპეიკამდე.

დასაწყისი სად. 7 ს. დასასრული 10-ზე.

(2—2) გამგე სუფლიორი **ზ. ზუცდარიძე.**

**26** აგვისტოს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება.**

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. მოხსენება და ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1904/97 განმავლობაში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის მოხსენება საზოგადოების წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლისა გამო.
4. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

(4—4)

ქართული მხატვრული და იუმორისტიული ჟურნალი

## „ნიშადური"

ცალკე ნომრებად გასასყიდად მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ **მ. გაჩეჩილაძეს სტამბაში „სორაპან"-ში** მადათოვის კუნძულზე.

იქვე უნდა მიმართონ ჟურნალის დასაკვეთად პროვინციის აგენტებმაც. (3—უ.—3)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—26)

**ელექტროთერაპიული**
## კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—19)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მაწლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკი**—შინ. ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**ი. ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ჰიპნოზი. ყოველდღე. 4—5 ს.
**რადელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.
**ასნჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**უბლანქარტოვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ასპიხოვი**—ყურისა, ყელისა, ცხვირისა. 1—2 ს. ყოველ ოთხშ. და პარასკ.
**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოზელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გორონზოვა**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პივარსკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—26)

**წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კონტორა**

## „იმერეთი"

ქუთაისში

15 აგვისტოდან კანტორა ღებულობს ერთი დღით ადრე, ვინემ ფოსტა **სატახტო გაზეთებს:** „ტოვარიშჩი", „რეჩი", „რუსი", „სლოვო", „ნოვოე ვრემია", „რუს. ვედომ.", „რუსსკოე სლოვო", „ზას" (მარუსის მაგიერი) და **იუმორისტული ჟურნალები:** „ვსემირნი იუმორი", „სტრეკოზა", „ბუდილნიკი", „ანეკდოტი", „სვერნი ვოლკი" და სხ. ვისაც სურს, რომ ხსენებული სხვა და სხვა გაზეთები იმ ფასებში იყიდონ, რაც მათ ზედ აწერიათ, ე. ი. 5 კაპ., ვთხოვთ წინდაწინ ჩაეწერონ კანტორაში. ხოლო მეგაზეთეები ვალდებულნი არიან ერთი და ორი კაპ. ძვირად ყიდონ ქუჩებში. წიგნის მაღაზია ღებულობს გასაყიდათ ახალ, საამდროვო ქართულ-რუსულ წიგნებს.

(1—1) **კანტორა „იმერეთი".**

## სკოლა

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—3)

### ტფილისი, 26 აგვისტო

ამას წინად „პრესსა"-ში გვქონდა გადმობეჭდილი მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფის ბ. შახტახტინსკის წერილი, რომლით ის მაჰმადიან დეპუტატთა და საერთოდ მაჰმადიანთაგან ბოდიშს იხდიდა მთავრობის წინაშე იმის გამო, რომ მაჰმადიანნიც ოპოზიციას მიემხრენო. წერილი მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „როსსია"-ში იყო მოთავსებული და საერთო ყურადღება მიიქცია. ჩვენ მაშინაც აღვნიშნეთ შახტახტინსკის უცნაური გამოხტომა და ის აზრი გამოვთქვით, რომ მაჰმადიანთა ინტელიგენციას არავითარი წილი არ უდევს ამ ბოდიშსა და უცნაურს ალსარებაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, მაჰმადიანთა ინტელიგენციამ მედგარი პროტესტი გამოუცხადა არა-მკითხე წარმომადგენელს და თავის მხრით აღიარა, რომ ცოდვა არ ჩაუდენია და მონანიებას არ ჰფიქრობს. სხვათა შორის, ტფილისში გუშინ მოსულ „რეჩ"-ის ნომერში შემდეგი დეპეშაა დასტამბული: „მეტისმეტად აგვაღელვა შახტახტინსკის წერილმა, ოფიციალურ „როსსია"-ში მოთავსებულმა, განჯის მაჰმადიანობა. მოვალეობათ ვრაცხთ აღვიაროთ, რომ არავითარი ცილისწამება შახტახტინსკებისა არ შეარყევს ჩვენს ღრმა პატივისცემას მაჰმადიან დეპუტატების მიმართ, რომელთაც სინიდისიერად აღასრულეს თავისი მოვალეობა. მათი პოლიტიკური რწმენა ჩვენთვის დაფარული არ იყო და ამიტომაც სრულიად შეგნებულად ავირჩიეთ ისინი ჩვენ წარმომადგენლებათ." ასეთივე პროტესტი განაცხადეს ბაქოს მაჰმადიანებმა ადგილობრივ თათრულ და რუსულ გაზეთებში.

ვინც იცის კავკასიელ თათრების და განსაკუთრებით მათ ინტელიგენციის თანამედროვე სულიერი განწყობილება და საზოგადოებრივი მიდრეკილება, მისთვის უფრო მოულოდნელი იყო შახტახტინსკის ალსარება და ბოდიშები, ვიდრე მათ მიერ გამოწვეული პროტესტები. კავკასიელ თათრების ეროვნულმა და, საზოგადოდ, პოლიტიკურმა თვითშეგნებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ამ სამისწლის განმავლობაში. ერთის მხრით, რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მეორეს მხრით, სომეხ-თათართა შეტაკებამ ერთობ ძლიერად იმოქმედეს ერის მთელ ფსიხიკაზე და ენერგიული კულტურული მუშაობა დააწყებინეს. მართალია, თათრების პროვინციებში, სოფლად, ხალხი ჯერ ისევ უმოძრავ და უმეცარ მასსას წარმოადგენს, რომელსაც მძიმე უღელი აწევს კისერზე მრავალრიცხოვან და მდიდარ ფეოდალურ კლასსისაგან; მაგრამ ქალაქებში, ნამეტურ ბაქოს, თათრის მშრომელი ელემენტი თან და თან იღვიძებს და დღეს საკმაოდ საგრძნობლად არის ჩარეული საერთო ეკონომიურსა და პოლიტიკურს ბრძოლაში. განვითარებულმა კაპიტალისტურმა მრეწველობამ იწყო დიად დიფერენციაციის მოხდენა მაჰმადიანთა შორისაც და მათ აზიურ კარჩაკეტილობას და პატრიარქალურ „ერთიანობას" ძლევამოსილად უთხრის ძირს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება ჩვენის ქვეყნისა.

დღეს თათრის ქალაქის მასსა წინანდებურად ბრმად არ ემორჩილება და არ მისდევს ამა თუ იმ მდიდარ თანამემამულეს, არამედ, თავის ინტელიგენციის ჯგუფთა ხელმძღვანელობით, იყოფა პარტიებად და შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლისათვის ემზადება. ზემოხსენებულ გაზეთის იმავ №-ში ჩვენ ვპოვეთ ამის შესახებ საინტერესო ცნობები, რომელნიც თუმცა კარგა ხანია ცნობილნი არიან კავკასიის პოლიტიკურ პარტიების მუშაკთათვის, მაგრამ, შესაძლებელია, ჩვენის მკითხველების უმეტესობისათვის დაფარულნი იყვნენ. თათრის მუშა ხალხში ენერგიულად მუშაობენ და მათზე დიდი გავლენა მოიპოვეს ორმა სოციალისტურმა პარტიამ: „ჰუმეტ" და „იტიფაგ"-მა. პირველი წარმოადგენს რ. ს.-დემოკრატიულ ფრაქციას და თითქმის უცვლელად აღიარებს სოციალ-დემოკრატიულს პროგრამას; ხოლო მეორე ს.-რევოლიუციონერებს ემხრობა და თავის პროგრამის პოლიტიკურ ნაწილით ძალიან უახლოვდება ჩვენ ს.-ფედერალისტებს. გარდა ამისა ხალხზე დიდი გავლენა აქვთ აგრეთვე დემოკრატიულ ბურჟუაზიის ჯგუფებს და მაჰმადიანთა კა-დეტებს. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ კავკასიელ თათართა შეგნებულ ელემენტებში სრულიად არა აქვთ ადგილი შავრაზმულ ორგანიზაციებს და შახტახტინსკების ცდას ჯერ-ჯერობით მაინც არავითარი ნაყოფი არ მოჰყვება...

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ შეგნებასთან ერთად კავკასიელ თათრობაში ენერგიული კულტურული მუშაობა სწარმოებს. მდიდარი ვაჭარ-მრეწველნი ჩვეულებრივ კლასსობრივ ეგოიზმს არ იჩენენ იმ ზომად, როგორც ეს სხვა ერებშია და უხვად სწირავენ თანხებს სწავლა-განათლების გასავრცელებლად. ბაქოს, განჯის, ერევნის საშუალო სასწავლებლებში და რუსეთის უმაღლეს სკოლებში დიდძალი მაჰმადიანობა სწავლობს და ისედაც საკმაო რიცხვს თათრის ინტელიგენციისას ყოველ წელს ახალ-ახალი რაზმები ემატება. არსდება განმანათლებელი საზოგადოებანი სხვა და სხვა ალაგას, რომელნიც დაბალ სკოლებს აარსებენ ხალხისთვის და ამდიდრებენ ლიტერატურას...

ასეთი ყოველმხრივი წარმატება კავკასიელ თათრობისა ფრიად საგულისხმიეროა მთელის ჩვენის განაპირა ქვეყნისათვის. ჟამთა ვითარების გამო ამიერ-კავკასიაში ერთმანეთში არეული ვართ სხვა და სხვა ერები. როგორც მეზობლებს შეეფერება, გვაქვს ერთმანეთში სადავო ინტერესებიც და საზოგადოც. სადავო ინტერესების სამართლიანად გამიჯვნისათვისაც და საზოგადო ინტერესების საუკეთესოდ მოწყობისათვის აუცილებლად საჭიროა სოლიდარობა; ერთმანეთში მოურიგებლობა და ცალკ-ცალკე გადგომა ყველას დაგვასუსტებს და ჩვენ ქვეყანასაც, ჩვენ საერთო სამშობლოსაც მომავალში დიდ განსაცდელს მოუვლენს. ეს მწარე ისტორიულმა ხვედრმა გვასწავლა ყველას, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესად გვასწავლის პოლიტიკურ თვითშეგნების განვითარება და კულტურული მუშაობა. რამდენად ამ მხრით წინ წაიწევა თვითოეული ერი, იმდენად უფრო მოგვიახლოვდება ის მომენტი, როცა კავკასიელი ერნი ერთის იდეალით გაიმსჭვალებიან და სრულ სოლიდარობის პრინციპის მიხედვით მოაწესრიგებენ საერთო სამშობლოში ცხოვრებას. ამის თავდებია კავკასიელ ერთა დემოკრატიის გამოღვიძება და ენერგიული მუშაობა.

### საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში.

იმიგრაციისა და ემიგრაციის შესახებ საკითხმა ორი მიმართულება მიიღო კომისიაში. ავსტრალიის მუშათა პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შრომის ბაზარზე ჩინელი მუშა საშინელ კონკურენციას უწევს ავსტრალიელ მუშას, რომელმაც მათთან საბრძოლველ ლოზუნგად გაიხადა: „ავსტრალია თეთრკანიანთათვის". ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მუშათა პარტიის წარმომადგენელი ხილკვიტი ეთანხმება ავსტრალიის წარმომადგენელს და იცავს ამერიკელ მუშათა ტაქტიკას წინაამდეგ შტრეიკბრეხერებისა და იმ ერებისა, რომელთაც მუშათა ორგანიზაციის ნიჭი და უნარი არა აქვთ. მათვე მიემხრო აფრიკის დელეგატი. ერთი სიტყვით, მუშათა გადასახლების წინაამდეგ იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენელნი

სადაც [illegible] მუშა მიდის, ხოლო წინააღმდეგ იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლნი, სადაც მიდის, ახალი მუშა. [illegible] კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პრობლემასთან. ხილკვიტმა როზა ლუქსემბურგისა და კაუცკის სახელით მოითხოვა გაუქმება სამუშაო ქირის მინიმუმისა, ვინაიდგან იგი უტოპიურიაო, და თავის მხრივ განაცხადა: თუმცა მე კომისიაში „კონსერვატიულ“ მიმართულების წარმომადგენელი ვყავი, მაგრამ თუ კონგრესი მოითხოვს, ჩვენ დავემორჩილებით მის გადაწყვეტილებას და შევიცვლით ტაქტიკასაო. იაპონიის მუშათა წარმომადგენელი კატო სთხოვს ამერიკელ და ავსტრალიელ დელეგატებს, რომ ხელი შეუწყონ და უშველონ გაჭირვებულ იაპონელებს, რომელნიც გაჭირვების გამო იძულებულნი არიან უცხოეთში გადასახლდნენ: გაანათლონ, გონება გაუხსნან და თავიანთ ორგანიზაციებში მიიღონ. ავსტრიელ მუშათა პარტიის წარმომადგენელი კრემერი აცხადებს, რომ ავსტრიელ მუშათა უმრავლესობა წინააღმდეგია ყვითელ და შავკანიან მუშათა მოსვლისა ავსტრალიაში.

ხმის უმეტესობით ორატორთა სია იხურება. ინგლისელები პროტესტს აცხადებენ ამის გამო, რადგან მათ ვერ მოასწრეს თავიანთ აზრის გამოთქმა. მათის სიტყვით საკითხი იმიგრაციისა და ემიგრაციის შესახებ ყველაზე მეტად ინგლისელებს ეხება. ჰაიდმანი პროტესტს აცხადებს და ამბობს, რომ ინგლისელებს რამდენჯერმე წაართვეს ლაპარაკის უფლებაო. თავმჯდომარე ზინგერი ინგლისელებს ლაპარაკის უფლებას არ აძლევს. ინგლისელები აცხადებდნენ, რომ ზინგერის სისტემა ძირიან ფესვიანად ეწინააღმდეგება პარლამენტალურ ჩვეულებასაო და კონგრესს ობსტრუქციას უმართავენ. ატყდა საშინელი ყვირილი და აყალმაყალი. ერთი მხრივ ყვირიან ინგლისელები მეორე მხრივ—გერმანელები. ზინგერი ყვირის, ზარს აწკარუნებს, მაგრამ ხმაურობა უფრო ძლიერდება. გაფითრებული ჰაინდმანი სკამზე ადის და ლაპარაკობს. გერმანელები უყვირიან და არ ალაპარაკებენ. ინგლისელებთან დასახმარებლად მივიდნენ ბიუროს წევრები. თავმჯდომარემ მიმართა ინგლისელებს, როგორც სოციალისტებსა და კონგრესის წევრებს და განაცხადა, რომ გერმანიისა, რუსეთისა, ბელგიისა და საფრანგეთის დელეგატებსაც არ ულაპარაკნიათ, მაგრამ წყნარად არიანო. „მე, როგორც თავმჯდომარე, მოვალე ვარ შევასრულო უმრავლესობის დადგენილება, თქვენ კი, როგორც უმცირესობა, მოვალენი ხართ დაემორჩილოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას“. ინგლისელებმა ხელ მეორედ ასტეხეს ყვირილი, დანარჩენები თავმჯდომარეს ტაშს უკრავენ. ზინგერი ხელმეორედ იწყებს ლაპარაკს: „კონგრესი თქვენს ტერორს არ დაემორჩილება. მე მოვალე ვარ ვიზრუნო, რომ უმრავლესობის ნება განხორციელდეს. ყვირილი ჩემზე არავითარ გავლენას არ იქონიებს. მე ვემორჩილები კონგრესის დადგენილებას“. მერმეღაც აყალმაყალი და ყვირილი ასტყდა. ბოლოს, როგორც იყო, ინგლისელები დამშვიდდნენ. ელენბოგენმა დაასრულა თავისი სიტყვა. მან აღნიშნა კაუცკის საპასუხოდ, რომ მინიმუმი სამუშაო ქირისა უკვე დაწესებულია ვიქტორიისა და ციურიხში, ხოლო ბერნში მუშებს ამის გამო ბრძოლა აქვთ ბურჟუაზიასთან. შესწორება ლიუქსემბურგისა და კაუცკისა უარყოფილ იქმნა და კომისიის რეზოლიუცია მცირე სარედაქციო შესწორებით კონგრესმა სავსებით მიიღო.

# ახალი ამბავი

✦ **განთავისუფლება.** მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი, რომელიც დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების თაობაზე იყო დაპატიმრებული. გედევანიშვილის გასანთავისუფლებლად 10,000 მანეთი შეიტანეს.

✦ **სპარსელ ქართველების გაცილება.** როგორც ვწერდით, სპარსელი ქართველები უკვე დაბრუნდნენ სპარსეთში. მგზავრები წავიდნენ ბაქო-ენზელი-რეშტის გზით თეირანში და აქედან, იქ რამდენიმე ხნის შეჩერების შემდეგ, გაემგზავრებიან ფერეიდანში. ბაქოში 22 აგვისტოს გამართეს სალიტერატურო საღამო, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. მეორე დღეს ბალახანის მუშებმა ითხოვეს, რომ სტუმრები 25 აგვისტომდე დარჩენილიყვნენ და ბალახანშიაც გაემართათ ლექცია. მგზავრებს ლექციის გამართვა უნდოდათ 23 აგვისტოს, მაგრამ ნებართვის აღება დაგვიანდა და სხვა მიზეზებმაც შეუშალა ხელი. ბაქოდან 23 აგვისტოს საღამოთი წავიდნენ რეშტს გემით „თურქმენით“. ნავთსადგურზე ბაქოს ქართველობა შეიკრიბა. წარმოითქვა სიტყვები. ქართველებს გულ დაწყვეტით გამოესალმნენ მგზავრები. ყორნიკაშვილმა ცრემლმორევით მოკლე გამოსასალმებელი სიტყვა უთხრა: თუ სამუდამოდ ვეთხოვებოდე ძვირფას ჩვენს ძმებს და ჩვენს ტურფა საქართველოს, მე სრულიად ცრემლებად დავდნებოდი, მაგრამ მამაგრებს ის წმინდა მოვალეობა, რომელიც კისრად დამედვა. მივდივარ შეძლებისდაგვარად სამსახური გავუწიო ფერეიდანისა და სხვა კუთხეებში დასახლებულ სპარსეთის ქართველობის გამოფხიზლების საქმეს და ვიმედოვნებ ჩვენი დედა საქართველო გულთან მიიტანს მათს გაჭირვებას. საღამოს 11 საათზე გემი გზას გაუდგა.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება გრიგოლ ჯაფარიძე—ჰბრალდება ტერორისტობა. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა რაჭველს ნიკოლოზ იაშვილს. მეზოვეების არ ყოლისთვის დაჯარიმებულ იქნენ სახლის პატრონები ს. ტატოევი, გ. იშხანოვი, იაგორ ტერ-დავიდიანცი, ეკ. იშხანოვისა და ა. აკოფოვი. ამათ სახლის წინ თავს დაესხნენ ვასო პაპაშვილს დაჯარიმეს იმ თანხით, რაც დასჭირდება მეეზოვის დაქირავებას. იარაღის ქონისთვის ორი თვით დააპატიმრეს სიღნაღელი სტ. ლოლაძე. მამასახლისის თანაშემწის შეურაცხყოფისთვის ერთი თვით დააპატიმრეს ავჭალელი ზაქარია ბიაშვილი.

✦ **ქალაქის საბჭო** ტფ. საბჭოს სხდომები დაიწყება ორშაბათს, 3 სექტემბერს. ახლად ამორჩეული ხმოსნები ჯერ არარიან დამტკიცებულნი და ისევ ძველი ხმოსნები უნდა შეიკრიბნენ. ახალი ხმოსნების არჩევანი მოხდა მაისში.

✦ **მომხმარებელი მაღაზია** ტფილისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ, როგორც გაზეთის სიტყვით, განუზრახავთ მომხმარებელ მაღაზიის გახსნა.

✦ **მეეტლეთა კავშირი.** სომხური გაზეთი „ხორისხი“ იუწყება, რომ თელავსა და სიღნაღს შუა მომუშავე მეეტლენი, 150 კაცი, შეკავშირდნენ „დაშნაკციუტუნის“ დროშის ქვეშ. მეეტლეთა შორის ქართველებიც არიან, რუსებიცა და სომხებიცაო.

✦ **დაპატიმრება.** 22 აგვისტოს დააპატიმრეს 9 მოსამსახურე ტრამვაისა, რომელთაც ნომრები არა ჰქონდათ.

✦ **ლექციები.** უმაღლეს კურსების ლექციების კითხვა კავკასიის შესასწავლად, როგორც ვწერდით, დაიწყება 3 სექტემბერს პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზში. პირველ ლექციას წაიკითხავს ე. ს. თაყაიშვილი, მეორე ლექციას წაიკითხავს ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი ხალათიანცი.

✦ **თეატრების შემოწმება.** გუშინ ტფ. პოლიციმეისტერმა მისწერა ბოქაულებს, გამოუცხადონ თეატრებისა, ცირკისა, საკონცერტო და საცეკვაო დარბაზების პატრონებსა თუ მოიჯარადრეებს, რომ ზამთრის სეზონისათვის შეაკეთონ და მოამზადონ შენობანი. ამას გარდა ბოქაულებმა უნდა შეადგინონ სიები ზემოდ აღნიშნულ გასართობების სადგომების პატრონებისა და წარუდგინონ. ვიდრე სადგომებს არ შეამოწმებენ, არავის ნება არ მიეცემა წარმოდგენების და სხვა გასართობების მოწყობისა.

✦ **ხმოსნის გაჩხრეკა და დაპატიმრება** 25 აგვისტოს ღამე პოლიციელებმა გაჩხრიკეს ტფ. საბჭოს ხმოსანი სვეშნიკოვი. სვეშნიკოვი დააპატიმრეს.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეს, დილის 10 საათისთვის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე, დანიშნულია საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. განსახილველი საგნები: 1. საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1994—1907 წ. წ.; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ და 4. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევანი.

✦ **კონდუქტორის თავხედობა.** ტფილისის ტრამვაის ზოგიერთ კონდუქტორების კადნიერებას ბოლო არ აქვს. პ რიგით, მათმა უწესო საქციელმა საზღვარს გადააჭარბა. 23 აგვისტოს შუადღისას, როგორც „ხალხის გაზეთი“ გვატყობინებს, ვაგონით მიდიოდა ერთი ახალგაზრდა ქალი. კონდუქტორს მან წარუდგინა უფასო ბილეთი, მაგრამ კონდუქტორმა (№ 58) ბილეთი ხელიდან გამოსტაცა, ჯიბეში ჩაიდო და უთხრა, ან ახალი ბილეთი აიღეთ და ან ვაგონიდან ჩამოდითო. ორივენი შელაპარაკდნენ. კონდუქტორი ჯერ უშვერის სიტყვებით ილანძღებოდა და ბოლოს ქალს სილაც გაარტყა. ხალხი აყაყანდა, მაგრამ ვერას გახდა. იმავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე ვაგონით მიდიოდა ვაჭარი მირილაშვილი, რომელსაც თან ორი ტომარა საქონელი მიჰქონდა. ვაგონის კონდუქტორმა მაზმანიანცმა (№ 150) უკებ ერთ ტომარას ხელი დაავლო და ვიღაც უცნობს გადაუგდო ქუჩაზე, მირილაშვილმა ყვირილი ასტეხა, მაგრამ კონდუქტორმა პირზე ხელი მიაფარა და დააჩუმა. სანამ ვაგონი გაჩერდებოდა, უცნობი ტომრით მიიმალა. დროა თვითონ ამხანაგებმა მიაქციონ ყურადღება ასეთ თავხედობას.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარ კაბინეტიდან 1500 მანეთი შესწირა მცხეთის დედათა მონასტერსაო. ამის შესახებ ეხლა გვატყობინებენ, რომ ეს ფული შეწირულია მონასტრის კედლების შესაკეთებლად.

✦ პოლიციელებმა 24 აგვისტოს დააპატიმრეს თელავის მცხოვრები არშაკ ქალანთაროვი, რომელსაც იაკობ დონდუროვის მაღაზიიდან მოეპარა სხვა და სხვა ნივთები და მიჰქონდა.

✦ სოფ. ხეითთან მდინარე ლიახვში უპოვნიათ გვამი 15 წლის ბავშვის ჩოჩიშვილისა. ექიმების შემოწმებით ჩოჩიშვილი ჯერ გაუხრჩვნიათ და მერე დაუხრჩვიათ. დამნაშავე აღმოჩნდა ერთეველი ბედოევი, რომელიც დააპატიმრეს.

## პრესსა

—:—

„ტოვარიშჩ“-ში დაბეჭდილია საინტერესო სტატისტიკა ფაბრიკა-ქარხნებში დასახიჩრებულ და დაშავებულ მუშებისა. მრეწველობის იმ დარგებში, სადაც დაწესებულია საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობა,

მარტო ერთი წლის განმავლობაში, 1904 წელს, დასახიჩრებულ და დაშავებულ მუშათა რიცხვმა 47000-ს გადააჭარბა. აქედან 10000 ან დაიხოცა, ან მძიმედ დაშავდა და დაგონჯდა.

ამ რიცხვში შეტანილი არ არის მრეწველობის ყველაზე სახიფათო დარგი—

# ფელეტონი

## სიკვდილი

ა. აჰარონიანისა.

(სომხურიდან თარგმნილი)

განმანადგურებელი სენი მძვინვარებდა.

სიკვდილი, ფრთებ გაშლილი და საშიშარი, დაფრინავდა მგლოვიარე სოფლებზე და შიშს გვრიდა ცოცხლებს. ხალხი აღარა სცხოვრობდა, არამედ კრთოდა, კვდებოდა. გეგონებოდათ დღისითაც კი წყვდიადიაო. თითქოს მზეც მოკვდაო.

სხვებთან ერთად ამ მტანჯველ ღამეში ის პატარა, დაბალი სახლიც მოიბუზა და მოკვდა. დარჩა მარტო მისი ორი ფანჯარა, რომელნიც თითქოს ელდისაგან ღია, დაჭყეტილი თვალებივით, გაიყურებოდნენ შორს წყვდიადში რამის გამოსარკვევად. შორს ეზო იყო, ბნელი, უხმო ეზო. მოხუცი ხეები მრავალ წლის ტვირთის ქვეშ დაგრეხილი და მახინჯი, სიბნელეში ძლივს მოსჩანდნენ შავად. გაშტერებული უყურებდნენ ეს ხეები წყვილ სინათლეს და ჩურჩულებდნენ გაუგონარის ხმით. ხეების იქით, უფრო შორს, კვლავ ბნელოდა, მომაკვდავი წყვდიადი იყო, რომელსაც თავის ბნელ ნაოჭებში იმდენი სამწუხარო რამ ჰქონდა დამალული. ფანჯრებიდან თრთოლვით გამოსული სინათლის შუქი ვერა ჰბედავდა იმ მწყვდიადამდე მიღწევას და შიშით გზაში კვდებოდა. იმდენი შიში იყო იქ, რომ წეროებიც კი არა ფუჩუნებდნენ გამხმარ ბალახებში, მატლებიც კი არ დაძვრებოდნენ, ყოველ სულდგმულს ეშინოდა ადგილიდან დაძვრა. სიცოცხლე მიჩუმებულიყო, არა სუნთქავდა, მობუზულიყო და თრთოდა შავ ელდისაგან. მაღლა კი ერთი საზარელი რამ იკლაკნებოდა, გეგონებოდათ, იმ ღამეს ფხიზელი იყო მარტო სიკვდილი, რომელიც წყნარის ცურვით ასრულებდა თავის შიშის მომგვრელ მგზავრობას, ეკონებოდა-ჰკოცნიდა წყვდიადსა და უთხრობდა საზარელს ამბებს.

რამდენმა ამისთანა ღამემ გაიარა მათთან ერთად, რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე შეიწირა... ერთი ბოროტი ხელი იყო, რომელიც იტაცებდა ყველაზე უკეთესს, ყველაზე ლამაზს, იტაცებდა და უკან აღარ აბრუნებდა.

განცალკევებულმა სახლმა იცოდა ეს. იმისი წყვილი თვალი განაგრძობდა საიდუმლოებით მოცულ სიბნელისკენ ყურებას. ამ მოპირზულ სახლს ერთი რამ ჰყავნდა კედლებს შიგნით, თავის დაბალ ჭერის ქვეშ: ჭაბუკის სიცოცხლე, რომელიც უნდოდა დაეფარა გარედან, ქვეყნისაგან, მეტადრე მტარვალ წყვდიადისაგან.

ოთახში გაშლილ ლოგინზე იწვა ჭაბუკი. თავს არ ანძრევდა, თვალები დახუჭული ჰქონდა, მხოლოდ ავადმყოფ გული აღიოდ-ჩადიოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტის სუნქვისაგან და ათასში ერთხელ გამხმარი კლავი ზოგჯერ საბნის ქვეშიდან ცქებდა რაღაცას. ჭაბუკი, სიცოცხლის სურვილით გატაცებული, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა სიკვდილს, რომელიც თან და თან ახლოვდებოდა.

ერთ ფანჯარას შიგნიდან მიუახლოვდა ერთი აჩრდილი. მერე ნამიან შუშას მიეკრა ერთი სახე, მოხუც დედაკაცის დანაოჭებული, მკრთალი სახე. მიეკრა და გაიყინა და ორი გაშტერებული თვალი ელდა ნაკრავი, ბნელი, როგორც ყველაფერი იმ ღამეს, იყურებოდა გარედ, იყურებოდა დიდ ხანს, დიდ ხანს. ბოლოს სახე მოშორდა ფანჯარას, თვალები დაიმალა.

ავადმყოფი ლოგინში წყნარად გაინძრა.

— რა იყო?—ნელის ხმით იკითხა მან.

— არაფერი,—უპასუხა დედამ.

— გავიგე... ხმა გავიგონე, ხმა. .

— ხმა გაიგონე?

— ჰო! ხმა... ხმები, ფეხის ხმები...

— ფეხის ხმა? უფალო ჩემო!

— კიდევ მესმის...

მოხუცი დედაკაცი ისევ დაჰრუნდა, ფეხების წვერებით მიუახლოვდა ფანჯარას, კვლავ მიაკრა თავისი დანაოჭებული ლოყები და შუბლი ფანჯრის შუშას და დაჭყეტილის თვალებით დაიწყო ცქერა. იყურებოდა, მაგრამ არაფერი არ იყო. ყველგან წყვდიადი მეფობდა. უკან გაბრუნდა იმავე სიფრთხილით, დაჯდა თავის ალაგას, ავადმყოფ შვილის თავთით.

— არაფერი არ არის... ბნელა, სიჩუმეა, ხეებიც-კი არა სჩანს ..—დუდუნებდა იგი.—ეჰ, მაწა ჩემ თავს, წყალმა წამიღოს! ყური არ მესმის, თვალი არ მიჭრის, ვერ ვარჩევ, ერთი შენც მოდი, კაცო, ფანჯარასთან...

— არაფერი არ არის, დედაკაცო, გულში შიშს ნუ იდებ, ყმაწვილი ავად არის... ხმები ესმის, ყური ხმას აძლევს. ზევით ცას უყურე, ზევით, იქიდან არ უნდა დაჰკარგო იმედი.

მოლაპარაკე მოხუცი ადამიანი იყო ავადმყოფ ჭაბუკის მამა. იგი შვილის ლოგინის მარჯვენა მხარეს იჯდა ხან საბანს უსწორებდა, ხან გარშემო იყურებოდა გამოურკვეველის, უიმედო სახით, ხან კიდევ თავ-ჩაღუნული ფიქრობდა.

— არაფერი არ არის!—ერთი კიდევ წაიდუდუნა, მაგრამ ფეხზე მაინც ადგა, წყნარად მიუახლოვდა ფანჯარას, გაიხედა და ისევ უკან დაბრუნდა.

— არაფერი არ არის... ავადმყოფია... ესმის რაღაცა...

— ჰო, მესმის... მოდიან!—კვლავ წაიდუდუნა ავადმყოფმა, თვალ-დახუჭულმა, ამოკვნესით.

მოხუცებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და გაჩუმდნენ.

რა იყო გარედ სიბნელეში? რა ესმოდა იმათ ერთ-ერთ შვილს? ნეტავი გათენდეს. მაგრამ როდესაც ძრიელ ბნელა და სულ-შემხუთავი ღამე, სინათლე ჩქარა არ მოდის.

შორს იყო სინათლე...

ლამფა მკრთალად ანათებდა და კედლებზე მოთრთოლვარე, მშიშარა აჩრდილებს აკეთებდა ოთახის ავეჯეულობისაგან. ყველაზე საშიში ლოგინის აჩრდილი იყო, რომელიც მოხუც დედის ფეხებ წინ გაშლილიყო იმ სიგრძეზე, რამსიგრძეც ჭაბუკის სასაფლაო იქნებოდა. ეს აჩრდილი ბოროტ რაღაცას მომასწავებელი იყო. დედა ადგა და ლამფას ადგილი გამოუცვალა. მასთან ერთად ადგილი გამოიცვალეს კედელზე აჩრდილებმაც, თითქოს ერთი სიტყვა ჰქონდათ მიცემული, დალაგდნენ ახალ მწკრივად.

მამამ იგრძნო, რომ მანაც რამე უნდა გააკეთოს ავადმყოფ შვილისთვის. თავი მაღლა ასწია და გარშემო დაიწყო ყურება, მერე ფეხზე წამოდგა და მიუახლოვდა სტოლს, რომელზედაც აუარებელი დიდი და პატარა წიგნი და ქაღალდი ეწყო. ეს წიგნები ავადმყოფ შვილისა იყო. წიგნები ერთმანეთზე ეყარა. იმდენი რამ იყო ამ წიგნებში, იმდენი რამ და ყველა ეს ესმოდა მარტო იმას, იმ მწოლარე ავადმყოფს. მამას ხშირად აშაყობდა ამ წიგნებით, თავის შვილის სიბრძნის ამ მოწმეებით. მოხუცმა აიღო ერთი წიგნი, ფრთხილად მტვერი გადაბერტყა და სიამოვნებით, როგორც სახარება, მიიტანა ტუჩებთან, მერე ისევ დასდო და აიღო მეორე, მესამე...

მამას მოაგონდა შორი და ახლო წარსული. მოაგონდა ის დრო, როდესაც შვილი კარგად იყო, როდესაც სენი არ მოსდებოდა ქვეყანას და ჭაბუკების პატრონნი არა გლოვობდნენ, არა თრთოდნენ.

მოაგონდა ყველაფერი დაწვრილებით.

— ბევრს ნუ კითხულობ, შვილო! თვალები, თავი გეტკინება, თავს შემოგევლე!—ეუბნებოდა ხოლმე მამა.

მაგრამ შვილს არ ესმოდა, თავს არ იწევდა, კითხულობდა, კითხულობდა. და როდესაც წიგნს დასდებდა და გარედ გადიოდა, მამა სტოლთან მიდიოდა, როგორც ეხლა, ღიმილით შესცქეროდა წიგნებს, სიამაყით იღებდა ერთს, ალერსით სწმენდავდა მტვერს და ისევ თავის ადგილზე სდებდა.

— დედაკაცო, ერთი შეხედე,—ეტყოდა ხოლმე მოხუცი ცოლს:—ეს სულ წაუკითხავს, სულ!

— ჰო, წაუკითხავს! ენაცვალოს დედა, თვალები არ ასტკივდეს. ხელს ნუ ახლებ, კაცო, ჩემი ბიჭის წიგნებს ნუ ურევ, კიდევ მიხველ სტოლთან!

— კარგი, კარგი, „ჩემი ბიჭის წიგნები“!—დასცინოდა მამა:—მე დამსგავსებია, მე, დაიჯერე, დედაკაცო, რომ ჩვენი შვილი მე მგავს! მართალს გეუბნები. პატარობისას მეც ეგრე ვიყავ! რომ იცოდე, როგორ ვწავლობდი გაკვეთილებს. წყალივით ვკითხულობდი, წყალივით? ეჰ, მამა ჩემს უცებ შემოაკლდა, მეც დავრჩი გარედ. კიდევ მადლობა ღმერთსა, რაც მე ვერ გავაკეთე, ჩემმა შვილმა გააკეთა!

ცოლი იცინოდა, სიამოვნებით დასცინოდა თავის ქმრის ამ უბრალო სიამაყეს.

— შენ დამსგავსებია, შენ, ჰა, ჰა, ჰა! შენ წიგნებს ნუ ურევ, დაე შენი ნათქვამი იყოს.—ხელს უქერდა და აშორებდა შვილის სტოლს.

ახლა ყველა ეს აგონდებოდა მოხუცს. სიამოვნებით იღებდა და აწყობდა წიგნებს, თითონაც არ იცოდა, აგრე რად იქცეოდა. აგონდებოდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა. აი, ერთი წიგნი ხელიდან დაუვარდა.

— კიდევ, ახ, ღმერთო ჩემო!—სთქვა მან ჩურჩულით.—ეხლა გამოაღვიძებს ყმაწვილს: ნუ ურევ წიგნებს!

მოხუცი, დამნაშავე ბავშვივით, მორჩილებით მოშორდა სტოლს. ცოლ-ქმარი გაშტერებული იდგა საკვირველ სტოლის წინ, თითქოს ლოცულობენო. ნუ თუ ამ დიდრონ წიგნების პატრონი ავად იყო!

— წყალი!..

ორივე შეკრთა. ორივ დანაოჭებული, მოთრთოლვარე ხელი ერთ დროს გაიწოდა

ამთო და სამეტალურგო მრეწველობა, სადაც დაჩხინჯებულთა და დაშავებულთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის დანარჩენ დარგებში.

ესენიც რომ ზემოხსენებულ რიცხვს მივუმატოთ, საერთო რიცხვი დაშავებულთა 65—75 ათას გადააჭარბებს.

1903 წლის კანონით დაშავებულთ ან ერთდროინდელი დახმარება ერგებათ, ან პენსია, მაგრამ ვინც იცის რუსეთის კანონების ძალა, ის წინდაწინვე იტყვის, რომ მუშათა კანონმდებლობაც ისეთივე ცარიელი სიტყვებია, როგორც დანარჩენი კანონები. დავა დაშავებულთა და და მექარხნეთა შორის ჩვეულებრივ ... თავდება: მუშა თხოულობს დაკ... ჯანსაღობის ანაზღაურებას. მექარხნე არაფერს აძლევს, ან კიდევ მეათედსა და მეხუთედზე თანხმდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იწყება დავა, რომელიც ხშირად რამდენსამე წელიწადს გასტანს ხოლმე. მუშამ უნდა ვექილი დაიჭიროს და დაამტკიცოს, რომ შრომა აღარ შეუძლიან და მისი დაშავება მექარხნის ბრალია და სხ. და სხ. მას, რასაკვირველია, ამის თავი არა აქვს, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში დაშავებული ან არაფერს იღებს, ან ორიოდე გროშით კმაყოფილდება და მექარხნეს ხელწერილს აძლევს, რომ ის დაკმაყოფილებულია.

* *

ვინმე მგზავრს გემით გაუვლია ბათუმიდან სტამბოლამდე. ტრაპეზუნდსა და სტამბოლს შუა სამი პატარა ქალაქია: ორდუ, ფაცა და უნია. მგზავრი სწერს: „დღეს გავიგეთ, რომ ზემოხსენებულ ქალაქებსა და ახლო-მახლო სოფლებში აუარებელი მაჰმადიანი ქართველია, რომელნიც ეხლაც მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად. მე პირადად დავრწმუნდი ამაში. რამდენიმე მათგანი გემზე გავიცანი: ნაკაშიძე, ფორაქაშვილი, დიდმანიძე და სხვ. მარტო ქალაქ უნიაში 2000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

## პატარა ფელეტონი

### ტფილისის სადგურზე

ქალაქის პაპანაქება სიცხისაგან გამწარებულმა გადავწყვიტე დროებით სოფლად გამგზავრება და გავემგზავრე კიდევაც. ყველას მოგეხსენებათ, რომ სოფელი—სამოთხეა ტანჯულ ქალაქელ კაცობრიობისათვის; ხოლო, როგორც შუა საუკუნოების ხალხს სწამდა, გადაცვალებულ ადამიანის სულს, სამოთხეში შესვლამდის, საკმაო ძნელ განსაცდელი უნდა გამოევლო საიქიოს და მხოლოდ შემდეგ განწმენდილ-განსპეტაკებულ სულს შეუშვებდნენ სანეტარო მალნარში. ამ განსაცდელის განყოფილებას სულის საწმენდს უძახოდნენ ძველად. ამიერ კავკასიის რკინის გზამ სწორედ ამგვარი მძიმე სულის საწმენდი დაწესებულება ამართა ქალაქის განაპირა ადგილას, რომელსაც ტფილისის რკინის გზის სადგური ჰქვიან სახელად. ქალაქის პაპანაქება სიცხისაგან თითქმის სულ-ამომხდარმა და სოფლად მიმავალმა ადამიანმა, სანამ ბუნების სამოთხეს მიაღწევდეს, ეს ძნელი სულის საწმენდი დაწესებულება უნდა გაიაროს ... იქ მწარე ოფლი დაღვაროს.

... მეტი ოფლი მესამე კლასის ბილ... კასსასთან იღვრება, რასაკვირველია. გაკეთებულია რკინის მოაჯირისაგან ერთგვარი გძელი სამწყებე ვიწრო ბაკი ტანჯულ ქალაქელ მესამე კლასის კაცობრიობისათვის და ვაი იმ ადამიანის დღეს, რომელიც ამ სულის საწმენდ ბაკში მოჴხვდება. იგი იმ წამსვე თავის ადამიანობას ჰკარგავს და თავიდან ფეხამდის სოციალ-დემოკრატად იქცევა, რადგან იგი აღარ არის მაშინ თავისუფლად მოქმედი ადამიანი, არამედ გარეშე პირობათა სრული მონა—მორჩილია. ეს გარეშე პირობანი გახლავთ თქვენ წინ რკინის ვიწრო ბაკში ჩამდგარ ადამიანის ზურგი და თქვენს უკან მოწოლილ ადამიანის გული და მუცელი. რკინის ბაკში ბლომად მომწყვდეული ხალხი ერთმანეთს უწყალოდ აწვება და ამ თქვენს გარეშე მყოფ ორ-ფეხა პირობათა შუა მჭიდროდ გაკვეხებული, თქვენ, რასაკვირველია, თავისუფალ მოქმედების უნარს სავსებით ჰკარგავთ და იმედისა და მუდარის თვალი უნდა მიაპყრათ ამ მჭიდროდ შეჯგუფულ ხალხის წინაშე ატუზულ მძლავრ ცენტრალისტურ დაწესებულებას—მრისხანე ჟანდარმს, რათა მოწყალება მოიღოს, მისწი-მოსწიოს თქვენზე უწყალოდ მოწოლილი ხალხი და ოფლის ღვარში გაწურული და გაძარცულ-გაპროლეტარებული თქვენი ცოდვილი სული ცოტათი მაინც გაანთავისუფლოს.

ახირებული ჩვეულება კი მოსდგამს მესამე კლასის კასსასთან თავმოყრილ ხალხს. ყველასა ჰგონია, რომ რაც უფრო მძლავრად მიაწვება იგი მის წინ ჩამდგარ ადამიანის ზურგს, მით უფრო ადრე მიაღწევს კასსას და აიღებს ბილეთს. რაც უნდა ეცადოთ დააჯეროთ თქვენ წინ და უკან ჩამდგარნი მიიწ-მოიწიონ, ვერაფერს გახდებით: გიპასუხებენ, კიდევაც რომ მოვინდომოთ, ჩვენ არაფერი შეგვიძლია, რადგან უკანიდან გვაწვება ხალხიო.

სალაპარიაო სწორედ ბრბოში ჩამდგარ კაცის სულიერი ვითარება. თვითეულს ცალკე, როცა იგი ბრბოს გარეშეა, კარგად ესმის, რომ, რაც უნდა ძალა გამოიჩინოს, რაც უნდა იფართხალოს და გაიჭიმოს, სანამ იმაზე ჯერი არ მიდგება, უფრო ადრე ბილეთების კასსას ვერ მიაღწევს. მაგრამ, რაკი ბრბოში ჩადგება, ყველა ეს ავიწყდება, ადამიანურ გონიერებას ჰკარგავს და, ვითომ და ადრე ლელოს გასატანად, რაც ძალა და ღონე აქვს, აწვება თავის მეზობელს. ამგვარად ბრბოს მიერ დაჩაგრულ-დამორჩილებულ ადამიანთ ძჟურად ურჩევ, რადგან ხალხში თავისი თავის გამღოლის უნარი ეკარგებათ და გონიერ ქცევას ვერ ახერხებენ, სანამ სახლიდან სადგურისაკენ გაუდგებოდნენ წინ-და-წინვე დურგალს გააკეთებინონ ურმის თვლების მგზავსი ორი გორგოლა: ერთი მთელი, შუაზე თავის გასაყოფად ამოჭრილ ნახვრეტით, მეორე კი ორინაწილისაგან შემდგარი, შუა ალაგას კი თავის წელის ზომაზე ამოჭრილი ცარიელ ადგილით. შემდეგ ყელსა და წელზე ეს გორგოლები გაიკეთონ და ისე წამობრძანდნენ სადგურზე. მაშინ ბილეთების კასსასთან ისინი ძალა-უნებურად ვეღარ მიაწვებიან თავიანთ მეზობლებს, რადგან ამას იმათ კისერსა და წელზე ჩამოცმული გორგოლები დაუშლიან.

საზღვარ გარეთის სადგურებზე მე არსად არ მინახავს ისეთი უწესოება, როგორიც ჩვენშია. ვინც მოკლე მანძილზე მიდის, იმათთვის ცალკე კასსებიც არ არსებობს: დადგმულია სადგურის კიბეზე რამდენიმე თვით-მოქმედი, ავტომატიური ყუთი, რომელთაც ამა თუ იმ სადგურის სახელი აწერია. თქვენთვის საჭირო სადგურის ყუთს ირჩევთ, რომელზედაც აწერია აგრეთვე ფასი. ფულს კოლოფის ნახვრეტში ჩააგდებთ და ბილეთი თავისით ამოვარდება კოლოფიდან. არსად არ იჯგუფება იქ ხალხი და ჩინებული წესიერება სუფევს.

მართალია, ყველა ეს არ ახალია-ძველია ჩვენთვის; მაგრამ, რაც უნდა ძველი იყოს ყოველ-დღიური სიმწარე,—იგი მაინც ახალ სიმწარედ გეჩვენება და ძალა-უნებურად ეცდები იგი თავიდან მოიშორო.

**ი. ნაკაშიძე**

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ქიზიყი.** ის აღარ არის ქიზიყი, რაც იყო განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. მაშინ თუ ბნელი ძალები შიშით და ძრწოლით თავის სოროებს ეძებდნენ, ეხლა მათი მეუფობაა, მათია ცა და მათი ქვეყანა. ერთის მხრივ გამძვინვარებულმა რეაქციამ მაგრად ჩასჭიდა თავისი ბასრი კლანჭები ქიზიყელთ და დამის არის გესლიანის სამძიმავით მოშხამის ქიზიყელთა გრძნობა-გონება. მეორეს მხრივ დამის რაინდი მძარცველ-მკვლელები ცხოვრებას უმწარებენ ისედაც ტანჯვა ვაებისაგან ნაწამებ ქიზიყელთ. ისეთი დღე, ისეთი ღამე არ გავა, რომ რამდენიმე მეკომური არ დაყაჩაღონ და არ გასძარცონ. ვის ვერცხლის ქამარ-ხანჯალს ართმევენ, ვის ფულს, ვის ბარგს, საქონელს და სხვა.—კაცის ენა ბირი ვერ მოსთვლის ყველა ამ ბოროტ მოქმედებას. მარტო სოფელი ჭერმაანი რომ ავიღოთ და ჩამოვთვალოთ ამ ორიოდე დღეში რამდენი ძარცვა-გლეჯა მოხდა, იქიდანაც დარწმუნდება მკითხველი, რა საშინელებას განიცდის ქიზიყი.

ნამეტნავად სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ყველა ამ სისაძაგლეს და ნამუს გარეცხილობას ქიზიყელნი პარტიის წარმომადგენელთ აბრალებენ, რადგან ასეთი გაბოროტებული და თავგამეტებული ძარცვა-გლეჯა განმათავისუფლებელ მოძრაობას მოჰყვა ზედ. თუმცა არწმუნებენ ქიზიყელთ, რომ ამ საძაგელ ბოროტ-მოქმედებას არავითარი კავშირი არა აქვს განმათავისუფლებელ მოძრაობასა და პარტიებთანაო, რომ თვით პარტიის კაცები სასტიკად სდევნიან მათ და ჰკლავენო, მაგრამ ქიზიყელთ ვერ დაარწმუნებთ. თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა ამ გარემოებას, შესაძლებელია ისედაც გაპარპაშებულმა რეაქციამ და ბნელმა ძალებმა ისარგებლონ ქიზიყელთა ამ გაბოროტებულის გულდაჯერებლობით და ისეთის სინიდისზე ხელ აღებულის საქმეების მოწმენი გავხდეთ, რომ მერე გვიანღა იყოს თითზე კბენანი...

ამის მაგალითს ეხლავე ვხედავ. ამ ორსამ დღეში ქიზიყს რამდენიმე ასეული ფაზახი ეწვია აქ აბა არა ჩვეულებრივი რა უნდა იყოს, მაგრამ დახეთ, ჩვენებური ბნელი ძალები სიხარულით როგორ ცას ეწივნენ, როგორ გასწორდნენ წელში და თამამად დაიწყეს ლაპარაკი?!... „აბა ეხლა ვნახავთ, რა ბიჭებიც ბრძანდებიან ახალთაობის ხალხი,—თავი სად ამოვიყოფინოთო“. ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს მათი გულის ნადები. ამ გულ გონების მომწამვლელ აზრებს კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ წელს ქიზიყი ძრიელ დამშეულია, მოსავალი არ მოვიდა და საშინელი სიძვირე ჩამოვარდა. ფუთი ფქვილი სულ უკანასკნელი ცხრა აბაზად ფასობს.

## რუსეთი

✦ **განმარტება.** სენატმა გამოსცა ახალი განმარტება 17 ოქტომბრის მანიფესტისა შესახებ სარწმუნოების თავისუფლებისა. თუ მონათლულმა ებრაელმა, რომელმაც უფლება მიიღო ყველგან იცხოვროს, ხელმეორედ გამოიცვალა სარწმუნოება და დაუბრუნდა ძველ რჯულს, მას ამასთან ეკარგება ის უფლებებიც, რომელიც გაქრისტიანებისთვის მიიღო და ეკრძალება ცხოვრება იქ, სადაც ებრაელებს აკრძალული აქვთ ცხოვრება.

✦ **ლიტველ ქალთა კრება** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, რომ 23 სექტემბერს კოვნოში მოხდეს ლიტველ ქალთა კრება თავიანთ შინაურ და კულტურულ საქმეების გასარჩევად. კრებაზე ლიტვურ ენაზე ილაპარაკებენ.

✦ **თხოვნის შეწყნარება.** გუშინწინ ვწერდით, რომ პეტერბურგის მიტროპოლიტმა უარი უთხრა პურკინას, რომელსაც უნდოდა სენიავსკიზე ჯვარის დაწერა, სანამ მას ჩამოახრჩობდნენ. სენიავსკის ვექილს ასეთივე თხოვნა შეუტანია სინოდში, რომელსაც პურკინასთვის ჯვარის დაწერის უფლება მიუცია.

✦ **მთავრობის მომავალი განცხადება.** „რუს. სლოვოს“ პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: არჩევნების წინ სტოლიპინი აპირობს ოფიციალურ განცხადების გამოცემას შესახებ იმისა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება. მთავრობას ამით სურს ალაგმოს ჭეშმარიტ რუსთა კავშირი, რომელიც უკიდურესი მტერია 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებისა.

✦ **ბრძოლა „კადეტთა“ შორის** მემარცხენე და მემარჯვენე კადეტებს შორის ბრძოლა თან და თან მწვავდება. მემარცხენენი მილიუკოვისა და ტესლენკოს მეთაურობით თხოულობენ, რომ წრეულს არ წამოაყენონ კანდიდატურა მემარჯვენეთა ბელადებისა მაკლაკოვისა და სტრუვესი. თავის მხრით მემარჯვენე კადეტები ეწინააღმდეგებიან ვექილის მანდელშტამის კანდიდატურას, რომელ-

---

წყლის ქიქისაკენ. დედამ დაასწრო და მიიტანა ქიქა შვილის გახურებულ ტუჩებთან, მამა კი უყურებდა და არ იცოდა, რა ექნა. გულნაკლული იყო, რომ არაფერს აკეთებდა.

— ხმები! ვინ არის? მოდიან!

— არავინ არ არის, შენ შემოგევლე! ხმა არ არის, ყური გიბზუის, ამხანაგები გეძახიან... დაიძინე, დაიძინე, რომ ოფლი მოგივიდეს: ექიმმა სთქვა, ოფლი რომ მოუვიდეს, კარგად გახდებაო. აი შუბლი სველი გაქვს. დაიძინე, გენაცვალე, წყნარად!

და დედამ თავისი გამხდარი ტუჩები ფრთხილად დაადო შვილის ღია შუბლს. ოფლი სულ არა ჰქონდა. მამა წაიხარა შვილის გაყვითლებულ, სიცხისაგან გახურებულ ხელისკენ. როდესაც ავადმყოფი დამშვიდდა, ორივენი ერთად მივიდნენ ორ ფანჯარასთან და იყურებოდნენ, იყურებოდნენ. შვილი ბოდავდა. ვინ უნდა მოვიდეს: გარედ ბნელა, შავი მომაკვდავი ღამეა!

— დედაკაცო, ვინ უნდა მოვიდეს? რამდენი ღამეა, ერთსა და იმავეს იმეორებს.

— ხმას ნუ იღებ!

— სუ! სუ!

მათ ისევ თავიანთი ადგილები დაიჭირეს. წყნარად დარაჯობდნენ შვილს, რომელიც იმ სანთელსავით ჰქრებოდა, რომელიც თანდათან იწოდა. დედა ცრემლიანის თვალებით დააშტერდა სიცხით გახურებულ სახეს და ღია ბრწყინვალე შუბლს, ხარბად უყურებდა და ფიქრობდა იმ საშიშ ხმებზე, რომელიც ესმოდა იმის შვილს. ეშინოდა ბევრის ფიქრისა, მაგრამ მაინც ფიქრობდა...

ოჰ, სენი! რამდენის სახლში შევიდა და რამდენი კაცი იმსხვერპლა! ამბობენ, რომ სიკვდილი კარ და კარ დადის, მუდამ შუაღამის შემდეგ, ბოროტ ... მს, კარები იღება და შედის შიგნით ... ტა ამ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარ... ექიმმა სთქვა, ოფლი მოუვა და კარგად გახდებაო. დედას შვილი უყვარს და ერთავად ხელს ადებს ავადმყოფის შუბლს ოფლის მოლოდინში. მაგრამ შუბლი მშრალია, იწვის ქურასავით, და დედა უიმედოდ თავს ღუნავს...

მამა გაშტერებული უყურებს პირდაპირ კედელს, რომელზედაც ბევრი რამ არის იმისთვის საყურადღებო. მთელი იმისი წარსული, მთელი სიცოცხლე იქ. იმ კედელზე ჰკიდია ძველი ხმლები, ვერცხლით შეჭედილი ხანჯლები, თოფები და ყოველივე ეს იმის ხელით არის გაკეთებული. უკეთ ებია მთელი წლების განმავლობაში; ჩაქუჩის კაკუნთან ერთად მრავალი ოფლი დაუღვრია მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი შვილი, რთ დ ერთი შვილი, ზრუნვისაგან თავისუფალი ყოფილიყო და მხოლოდ ესწავლა, ესწავლა. მოხუცი იგონებს იმ სახელოსნოს, სადაც იმდენი წელიწადი გაუტარებია, სადაც პატარა სამჭედლოზე ხმალს ან ხანჯალს სჭედავდა. ვაჟიც ყოველთვის მხიარული მოსდიოდა სასწავლებლიდან.

— მამილო!—უყვიროდა შორიდან.

— მოხველ?

— რას აკეთებ, მამილო?

— ხმალს, გენაცვალე.

— რისთვის?

მამა არ ეუბნებოდა ხმლის ნამდვილ მნიშვნელობას.

— ვაკეთებ, რომ ხალხმა დაიკიდოს.

— ვიცი, ვიცი, იკიდებენ, მერე კაცს ჰკლავენ: ხმალი კარგი არ არის, მამილო!

— ავ-კაცებს ჰკლავენ, შენ გენაცვალოს მამა, ავ-კაცებს, ქურდებს, ავაზაკებს.

— ხმალი კარგი არ არის,—უპასუხებდა შვილი.

შვილს არ უნდოდა, რომ ადამიანი მოეკლათ. წიგნებში ეგრე არა სწერია: შვილი წიგნებიდან ლაპარაკობდა, მამა კი ცხოვრებიდან და იმათ ერთმანეთისა არა გაეგებოდათ-რა.

იმ საღამოსაც, როდესაც დედ-მამა ბაღში, ხეხილის ქვეშ ისხდა და აჩრდილები ნელ-ნელა ილეოდნენ წყვდიადში, შვილი დაფიქრებული და ოცნებით გატაცებული იყო: იგი თვალებ-აპყრობილი ჰკითხავდა მამას, ხმალს რად აკეთებდა და ხალხი ერთმანეთს ყელს რადა სჭრის. პასუხი არ იყო. მამა სდუმდა და მერე დუდუნებდა:

— ოჰ, ეს ყმაწვილი!

და ამ საკვირველმა ყმაწვილმა მარჯვედ გაათავა ქალაქის სასწავლებელი. მერე მამამ გაჰგზავნა შორს, სხვა ქვეყნებში, რომ მეტი ჰკუა ესწავლა, კაი კაცი გამოსულიყო.

სახლში დარჩნენ მოხუცნი, როგორც ბარტყებ დაშორებული ორი ფრინველი. თავიანთ ხელით აიღეს და კედელზე გააწკრივეს შვილის სურათები, ყოველ წელიწადს გადაღებული. ერთი ლურსმანს აწოდებდა, თითო-თითოს იღებდნენ, მტვერს აშორებდნენ და ხელახლა ამწკრივებდნენ. ეგრე მთელი წლები გადიოდა. იგონებდნენ დღეს, საათს, როდის რომელი სურათი გადაეღოთ, იმეორებდნენ შვილის ნათქვამს, ერთმანეთს უსწორებდნენ, უმატებდნენ, თუ მოთხრობას რამე აკლდა. სურათი ბევრი იყო, თითქმის წელიწადში ორი პატარა ხუჭუჭიანი თავები, შავი, დიდრონი თვალები, მერე მოსწავლე ბავშვი, მერე ყრმა, მერე ახლად ამოსულ ულვაშებიანი და ბოლოს მშვენიერ მუნდირში გამოწყობილი სტუდენტი პატარა წვერით და ულვაშებით. ყველგან იგივე ღია შუბლი, განიერი და გონიერი თვალები.

მერე შვილი მოუვიდათ შორიდან. ძალზე გამოცვლილიყო. შუბლი კვლავ განიერი და ბრწყინვალე ჰქონდა, თვალები ისევ გონიერი და მომხიბლავი, მაგრამ სახეს მძიმე სევდის ნიშნები დასტყობოდა. ნეტა რა დაემართა იქ, იმ შორეულ ადგილებში, უცხო ქვეყანაში?

— რა გაქვს, რა გტკივა, შვილო?

— არაფერი, მამილო, რა უნდა მქონდეს!—ღიმებოდა, მაგრამ ეტყობოდა რაღაცას მალავდა. ეს ღიმილი ჰგავდა შემოდგომის მზის უფერულ სხივებს, რომელნიც ერთ წუთს მიცურავენ ცის კამარაზე და მერე ისევ წყვიადს უთმობენ ადგილს. მერე შვილი კითხულობდა, კითხულობდა წიგნებს. ფიქრობდა, ვინ იცის რას? მიდიოდა, ვინ იცის, სად? ბრუნდებოდა შუა ღამისას და კიდევ კითხულობდა.

— დედაკაცო, სად მიდის ყოველ ღამე?

— რა ვიცი, კაცო? მე მეუბნება?

— ქალის საქმე ხომ არ არის აქ?

— ნეტავი არ იქნება ეს! მაგრამ არა, არა, წიგნები! ახ ეს წიგნები!..

— წიგნები რა?

— ეჰ! რა ვიცი? კითხულობს... მაგდენ კითხვას თავი გაუძლებს?

ერთ დღეს ჩარა გაწყვეტილი მოხუცი ნელა მიუახლოვდა შვილს, მაშინ, როდესაც იგი დაყრდნობილი იყო ერთ დიდ წიგნზე.

— რა სწერია მაგაში, გენაცვალოს მამა?

ჭაბუკმა თავი ასწია, ნაღვლიანის თვალებით მამას შეხედა და გაიცინა იმ წყნარის, ნაღვლიანის ღიმილით, რომელიც ისე ამშვენებდა იმის მკრთალს სახეს და ნაღვლიან თვალებს.

— ამ წიგნში?

— ჰო, სწორედ მაგაში.

— აქა სწერია, მამილო, რომ ადამიანები ხმლებს აკეთებენ და მერე ერთმანეთს ხოცავენო.

— არ დაგვიწყებია, შენ ცელქო!—მამამ გაუწია წვერი და ორივემ ერთად გაიცინეს.

— ხუმრობა იქით იყოს, მითხარი რა სწერია მაგ დიდ წიგნში.

— დამიჯერე, მამილო, არ გატყუებ! აქ ნათქვამია, რომ როდესაც ადამიანები ხმალს ვერა შოულობენ, ერთმანეთს კბილებით ჰგლეჯენო, საწყალების შრომას ძლიერები იტაცებენო. არის ადამიანი, რომელიც არა შრომობს და სჭამს-კი, არის ადამიანი, რომელიც შრომობს, შრომობს და ერთავად მშიერია...

— ეე, ეგ ხომ ქვეყნის წესია, შვილო. სწორედ არის ნათქვამი, ახალი რამ არ არის. ერთი აშუღი იყო, რომლის ნათქვამი შენ ნათქვამზე ნაკლები არ არის: მას უთქვამს: „ადამიანია—სჭამს, სვამს, ჰაის გაიძახის; ადამიანია—ზის დარდისაგან შეწუხებული, ვაის გაიძახის.“

მამამ გაიმეორა, შვილმა ქაღალდის ნაჭერზე ჩაიწერა და ხმა მაღლა წაიკითხა: —მშვენიერია, რა კარგად არის ნათქვამი!

— „ადამიანია—სჭამს, სვამს, ჰაის გაიძახის“.. მშვენიერია, სხვები კიდევ ვაის ამბობენ, ისე არ არის? მერე, მამილო, არა ხედავ, რომ ამ ქვეყნად „ვაის“ მთქმელი უფრო ბევრია, ვიდრე „ჰაის“ მთქმელი. რად არის ასე?

— მე რა ვიცი, შვილო. შენ წინანდელსავით ისეთ რამეებს მეკითხები. ორივე უფლის ნებაა, უფლის ხელშია, უნდა „ჰაის“ მისცემს, უნდა „ვაის“.

— მამილო, იცი რა არის?...—გაშტერებული მამას დასცქეროდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარა სთქვა: უცბად წამოდგა, გულში ჩაიკრა მამის ქაღარა თავი, აკოცა დანაოჭებულ შუბლზე და სწრაფად გარედ გავარდა. მამა გაქვავებული დარჩა. მერე მიმართა ცოლს:

— ნახე, დედაკაცო?

ცოლმა პასუხის მაგიერ თავი გაიქნია.

— ეჰ, ნეტავი შენ? რომ საქმე არა გაქვს? ნუ თუ გგონია, რომ აჯობებ? იმ დღესაც გამოიცა. ერთი ჯანსაღი, სქელ კისერა ქურთი შემოვიდა ჩვენს ეზოში, პურს თხოულობდა. ჩემი ცოლდა რა დავმალო, ხელი ვერ მივიტანე რომ პური მიმეცა. ეჰ, ეგ უსამართლობა, მთის იქით ხალხს ხოცავენ, აქეთ კი პურს აგროვებენ. „პური ღმერთმა მოგცა“ ...

საც ისინი მეტის მეტად შემარცხენდ სთვლიან.

**კავშირი.** ჭეშმარიტ რუსთა კავშირის არჩევნებში მხარს დაუჭერს ერთი მეჟ რუსი პატრიოტთა საზოგადოება, იმ პირობით კი, თუ ჭეშმარიტ რუსები თავიანთ მოსკოვურ ბელადის გრინგმუტის კანდიდატურას არ წამოაყენებენ. ეს იმიტომ, რომ გრინგმუტის გაზეთმა სახელმწიფო სათათბიროში შეურაცხყოფა მიაყენა ჭეშმარიტ რუსთა „ვეჩე"-ს გრინგმუტი, ვინაიდან გრინგმუტი ჩამომავლობით არც რუსია და არც მართლმადიდებელი.

**ბოიკოტის უარყოფა.** პოლონეთის სოციალისტების პარტიამ განაცხადა, რომ იგი უარყოფს ბოიკოტს მომავალ არჩევნებში.

# დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

რუსეთში.

24 აგვისტო

**ტულა.** საგლეხო ბანკის დროებით განყოფილებამ [illegible] 30 მამულის გაყიდვა დაიწყო. [illegible] 21,000 დესეტინა [illegible].

[illegible]

**ლოძი.** [illegible] ნარის ბირად მოჰკლეს ერთი მუშა. ესროლეს ნავიდან. ვსხოდნი ქუჩაზე მოჰკლეს ერთი ებრაელი. მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა.

**ხარკოვი.** დამე გასმარცვეს ვორონეჟის საგლეხო სასამართლო სუმის მაზრაში.

**[illegible].** 23 აგვისტოს საღამოთი [illegible] 1500 კაცი [illegible] 42 მამულო, ზომით 80,000 დესეტინა.

[illegible] 14,135 დესეტინა.

[illegible]

უცხოეთი.

24 აგვისტო.

[illegible]

**კასაბლანკა.** კრეისერი „გლიუარი" ზღვაში გავიდა. თან წაიყვანა უცხოელ ლეგიონის სამი როტა. არ იციან, გემი საით მიემართება.

**ლონდონი.** დასავლეთ ირლანდიაში კარტოფილის მოსავალი მლიერ ნაკლები იყო. ემინიანთ შიმშილისა. საწვავ მასალის სიმცირესაც სჩივიან.

**პარიზი.** კაზაბლანკიდან იუწყებიან, უკანასკნელ ბრძოლაში დაღუპულთა საპატივცემლოდ დღესასწაული გამართეს. გენერალმა დრიუდმა სიტყვა წარმოსთქვა. გამოსთქვა იმედი, რომ დაღუპულთა სისხლი უნაყოფოდ არ ჩაივლის. გენერალს იმედი აქვს, ესპანია და საფრანგეთი ისე მოაწყობენ სიქმეს, ყველას შეემლება მშვიდობიანი მუშაობა.

**კოპენჰაგენ.** გაფიცულ დურგლების და აღების წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ. მოხდა მათ შორის სრული შეთანხმება. ოთხი თვის გაფიცვის შემდეგ მუშაობა განახლდა.

**პარიზი.** ესპანიის საგარეო სამინისტრო ჰგზავნის მაროკოში 700 კაცს კრეისერ «ესტერმადურე»-თი. ჯარს ნაპირზე მაშინ გადასხამენ, როცა საჭირო იქმნება.

**ვაშინგტონი.** ტყუილია გაზეთების ცნობა, ვითომ შეერთებულ შტატებს სურდეს ატლანტიდის ოკეანეს მეორე ესკადრის მოწყობა. მთავრობის აზრით, საუკეთესო პოლიტიკა ერთისა და კარგის ესკადრის ყოლაა. მართალია, მთავრობას სურს ჯავშნიან გემთა რიცხვი 28-მდე აიყვანოს, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია წყნარ-ოკეანეში წასულ ესკადრის იქ დატოვება.

**ნიუ-იორკი.** ბელინჰეიმიდან (ვაშინგტონის შტატი) იუწყებიან: საღამოთი 500 კაცი შეიჭრა ფაბრიკაში, სადაც უცხოელები მუშაობდნენ. კარები შეამტვრიეს და რამდენსამე ას კაცს სცემეს; უფრო მეტი ბრიტანიის კოლუმბიის საზღვრებისაკენ გაამევეს. მიზეზად რასიულ მძულვარებას ასახელებენ ინდუსელთადმი, რომელნიც თეთრ-კანიანის ადგილას მიიღეს სამუშაოდ.

**ბაზელი.** ტრედუნიონისტების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვა ლორდთა პალატის გაუქმება. კონგრესმა პროტესტი განაცხადა ახალ პერების დანიშვნის გამო. მეორე რეზოლიუციაში კონგრესი წინააღმდეგია სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოხდისა. საზოგადოებათა პალატის წევრმა ტორნმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა მოქალაქეს სამხედრო განათლება უნდა მიეცეს და იარაღი დაურიგდესო.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

---

ქი, უთხარი. უცებ ჩემი სიტყვები შიგნით გაიგონა და გარედ გამოვიდა. „მიეცი, დედილო, მშიერს პური მიეცი, ადამიანიაო, სთქვა.

— მაშ რომ იმ მხარეებში იმისთანა გულსაკლავ რამეებს სჩადიან... ქრისტიანებიც რომ არ არიან-მეთქი, უთხარი მე.

— მშიერს სარწმუნოებას არა ჰკითხავენ, დედილო, მშიერი ადამიანია,—სთქვა და თავისი ხელით გამოუტანა ორი დიდი პური.

მოხუცს მოაგონდა ყოველივე ეს და დავიწყებას მიეცა.

— წყალი!..

კვლავ ხელი წაიღო წყლის ჭიქისკენ. ავადმყოფმა წყალი დალია და წაიდუდუნა.

— ოჰ, ღამეა!... გაუთავებელი ღამე... როდის უნდა გათენდეს? უფალო ჩემო, სინათლე, სინათლე!

— დაიძინე, დაიძინე. შვილო, წყნარად!

— დედილო, ამ დაწყევლილ ქვეყანაში ძილი და სიცოცხლე შეუძლებელია... მოიცადეთ! გესმით? მოდიან.

— ვინ, თავს შემოგევლე?

— „ჰაის" მთქმელები არა, მამილო!

ღონე მიხდილი ავადმყოფი გაჩუმდა. სახლში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ლამპა კვლავ ანათებდა, კედელზე აჩრდილები თამაშობდნენ. გარედ მეზობლის ძაღლი დიდხანს ღმუოდა, ბოლოს სამწუხარო ღმუილი დაიწყო.

— პატრონის თავი შეჭამე! წაიდუდუნა დედამ პირჯვრის წერით. გახრდი, რას ღმუი? — ცოლ-და-ქმარმა ერთმანეთს შეხედეს, მერე ავადმყოფს.

— ხმები... მოდიან... ძლივს! — წამოიძახა ავადმყოფმა.

მოხუცნი აღშფოთებულნი და ფერწასულნი წამოხტნენ ადგილებიდან. ერთ ხანს სახეები მიაკრეს ფანჯრის მინას, იყურებოდნენ და თრთოდნენ. ამათაც მოესმათ ფეხის ხმა, ძლიერი რახუნი. ძაღლმა ღმუილი და წკმუტუნი დაიწყო. აი, ფანჯრის წინ გაიარა ერთმა, მაღალტანიანმა, ბრგემ; მერე მეორემ, მესამემ. რამდენნი იყვნენ! ერთმანეთის მსგავსნი, მოდიან ჩხარუნით. „სიკვდილის მომტანნი!" დაიკივლა დედამ, გაიქცა და მიეკრა შვილის ლოგინს. მამამაც ფანჯარას თავი დაანება და კარებისაკენ გაიქცა... ერთმა წუთმა განვლო, ხანგრძლივმა წუთმა. მერე კარები დააკაკუნეს: კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

— ვინ არის?

კვლავ პასუხი არ იყო.

სიჩუმე უფრო საშიში იყო: ჩვეულებრივი სიკვდილი არა ლაპარაკობდა, დედამ ეს იცოდა. უფრო მიეკრა შვილს.

— არ გააღო, მოშორდი, კაცო! სენია, სიკვდილია, მოშორდი, აქ მოდი!

მოხუცი უკან გადახტა და მიაიკუნტა კედლის ძირას, სადაც იარაღი ეკიდა და უნებურად ხელი მოავლო ერთ ძველ, გაჟანგიანებულ ხმალს, მაგრამ ჯერ კედლიდან არც კი ჩამოეღო, რომ კარმა ჩხრიალი მოიღო და გაიღო: შემოვიდა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ყველანი შეიარაღებულნი, ლურჯის ტანისამოსით და ბრწყინვალე ღილებით. მოქუშულნი, ბნელი არსებანი გარედან, წყვდიადიდან მოგლეჯილი შემოვიდნენ და თავიანთ ირგვლივ შიში მოჰფინეს. შეჩერდნენ და საზარელის თვალებით ავადმყოფს დააშტერდნენ.

— არ მოგცემთ, არ მოგცემთ! გიცნობთ!—დაიკივლა დედამ.—ჩემი შვილი დამნაშავე არ არის. არ გაგიშვებ, რომ ციხეში წაგიყვანონ... ავადმყოფია... მომკალით მე... რაც ღონე ჰქონდა, მივარდა შვილის ლოგინს და თავის გამხდარ ტანით სცდილობდა დაეფარა ავადმყოფი. ამავე დროს მამამ ჩამოიღო ხმალი, ამოიღო ქარქაშიდან, ფერმკრთალი და თრთოლარე დადგა უცნობების წინ და გზა შეუკრა.

უცებ მოულოდნელი რამ მოხდა. ავადმყოფმა თვალები გაახილა, თავი აიწია, მარჯვნივ და მარცხნივ დაიწყო ყურება, მერე გაიჭიმა, დადგა მუხლებზე მთელის ტანით და დააცქერდა კარების წინ მდგომ ჯგუფს. ფერმკრთალ გამხმარ სახეზე შიშის ღიმილმა გაურბინა, გამხდარი თრთოლვარე ხელები გაიშვირა წიგნებით და ქაღალდებით სავსე სტოლისკენ.

— ჰა, შეგიძლიანთ... ჰქექეთ, რამდენიც გსურდეთ, მე-კი... ოო, დაგიგვიანდათ, დაგიგვიანდათ!

სთქვა და დაეცა ლოგინში უსულოდ...

დედამ ერთი გულსაკლავად დაიკივლა და ისე მოეხვია შვილს, გეგონებოდათ, უნდოდა მასთან ერთად შეერთებულიყო, რომ არავის აღარ შესძლებოდა მისი მოტაცება.—მოხუცი მამა იმედ-გადაწყვეტილი ღონე მიხდილი იატაკზე დაეცა და ხელიდან გაუგდო ძველებური ხმალი, რომელიც ამ უმთავრეს წუთში არ გამოადგა. მერე მუხლებზე ჩოჩით გაემართა შვილის ლოგინისკენ, მიაღწია და პირქვე დაემხო.

გვამი თავის დაჭყეტილ, უშველებელის, მაგრამ გაცივებულ თვალებით განაგრძობდა ყურებას იქითკენ, სადაც უცნობი და საშიში არსებები ჰქექავდნენ იმის წიგნებს, ქაღალდებს, რვეულებს, ყველა იმას, რაც შეიცავდა იმის წმინდა და ურჩ ფიქრებს, იმის განმათავისუფლებელ სურვილებს, იმის ოცნებებს.

ღამე იყო. სახლს სჩხრეკავდნენ, აქოთებდნენ. ღამე იყო, მაგრამ განთიადიც მოახლოვებულიყო.

უ. კ—ისა.



# განცხადებანი

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

უოველ დღე, კვირეებს გარდა.

დილით:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ და ვენერიული (სიფილისი).

**ფ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ბაბანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.

**ა. მ. პოღოსოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. ი. შტერნბერგი:** $1^1/_2$—2 საათ. [illegible] და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

საღამოთი:

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—139)

შემორჩილესად ვთხოვ ყველა იმათ, ვისაც მიღებული ჰქონდა გასასყიდად პავლე აკობიას ბროშურები:

1. „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია".

2. „ბნელეთის ევოლიუცია, თავ-ეშმაკთ რევოლიუცია".

3. „სესია" (მეგრული ლექსთა კრებული.

4 სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები".

სოხუმში, ბათუმში,
ფოთში, ოზურგეთში.
ქიათურაში, ყვირილაში,
გორში, სურამში,
ახალციხეში, თელავში,
სიღნაღში, საგარეჯოში
და ბაქოში.

გამოგზავნონ გაუყიდავი ბროშურები და გაყიდულის ფასები შემდეგის ადრესით: Тифлисъ—типографія „Идеалъ".

(5—5—5)

ახალი შევსებული გამოცემანი.

**დედა-ენა,** ნაწილი მეორე, ახალი ოცდა მეორე გამოცემა შევსებული **სამი ახალი განყოფილებით,** იპყრობს 280 გვერდს და ღირს ყდიანად ისევ ორი აბაზი. ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

**Русское Слово,** ახალი, მეთხუთმეტე გამოცემა, შიგ ჩართული, ნაცვლად ირიბულის ხელისა, პირდაპირი რუსული ხელი, რომელსაც თვით განათლების სამინისტრომ უპირატესობა მიანიჭა და რომელიც სწრაფად შემოღებულ იქმნა რუსეთის ბევრს სკოლებში. ისყიდება გრიქუროვის და წერა-კითხვის მაღაზიებში... (4—4)



მანეთ ნახევარი

## დღეში

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელათვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100 210—15)

## გამოცდილი მასწავლებელი

ღებულობს საშუალო სასწავლებელთა უმცროს კლასებისთვის მოსამზადებელს ქალებსა და ვაჟებს. აქვე შეიძლება მოწაფეთა სრულს ხარჯზე მიღება და მასთან საღამოობით მეცადინეობა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, ნაშუადღევის 4—8 საათამდე.

ადრესი: ყიფიანის ქუჩა, სახლი № 25 მეორე სართულში, შესავალი ეზოდან. (4—258—3)

# ახლად მოწყობილი სტამბა
# „იდეალი"

მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე

# ავადმყოფებს და სუსტებს
# „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა,** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **„სპერმატინი"** შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლულობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

«**მ. ხ. ზ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ «სპერატინისთვის».10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც, ყველაფერზე ვტიროდი. „სპერმანის" ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ზოსხი.** მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, ბ. № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.».

„**მ. ხ. ზ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა" დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენკერ.** 19 აპრილი 1907 წ.".

„ივანოვის „სპერმანტინის" ლაბორატორიაში („სპერმინი"). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი" და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვი არგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1მაისი 1907 წ.".

**მ. ხ. ზ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით". ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკედ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის" ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი" ნ. ნ. ივ-სკვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ნ. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეკი, „სპერმატინმა" ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უმისოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—212—6)



სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.